

როგორ დავხმაროთ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრების უნარების განვითარებაში.

მოყვანილია წაკითხულის გააზრების სწავლების ხუთი ძირითადი პრინციპი PIRLS-ის ტექსტთან ერთად

1. ყოველდღიურობასთან დაკავშირებული ტექსტების კითხვა.

მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ, რომ კითხვისა და კარგად განვითარებული გააზრების უნარების ფლობა მათთვის მნიშვნელოვანი, ფასეული და საჭირო შეიძლება აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, საკითხავი მასალა, კითხვის მიზნები და მიდგომები უნდა იყოს ავთენტური და რეალურ ცხოვრებაში არსებულ საკითხავ ტექსტებთან მიახლოებული.

2. ტექსტების ირგვლივ სიღრმისეული ინტერაქცია

ტექსტის შინაარსთან ინტერაქცია დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეების მიერ წაკითხულის გააზრებაზე. ტექსტის შინაარსის, განსაკუთრებით კი იმ ინფორმაციის განხილვა, რომელიც მათ კითხვის მიზნის მიღწევაში დაეხმარებათ, მოსწავლეების მიერ ახლებური გზებით ტექსტის გააზრებას უწყობს ხელს, რასაც ისინი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდნენ.

3. კითხვის განსაზღვრული სტრატეგიების პირდაპირი სწავლება

წაკითხულის გააზრების სტრატეგიების გამოყენება შესაძლოა, ეფექტური აღმოჩნდეს გააზრების უნარის განსავითარებლად. არსებობს მტკიცებულება, რომ განსაზღვრულ სტრატეგიებს, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, დადებითი გავლენა აქვს წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი ისწავლება ყოველდღიურობასთან კავშირში და გამოიყენება სხვა სტრატეგიებთან ერთად.

4. კითხვის სწავლების ინტეგრირება სხვა საგნებთან

სხვა სასკოლო საგნების ტექსტების კითხვა მოსწავლეებს არა მხოლოდ ახალი ცოდნითა და საგანთან დაკავშირებული სიტყვათა მარაგით ავსებს, არამედ ამ მეთოდით ისინი სწავლობენ, როგორ გამოიყენონ შექმნილი უნარი სხვა სახის ტექსტების გასააზრებლად. კითხვისა და წერის ინტეგრირება იწვევს წაკითხულის უკეთ გააზრებას და ამასთანავე წერის უნარების გაუმჯობესებას.

5. წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე დაკვირვება და სწავლების დიფერენცირება

კითხვის უნარის განვითარების მონიტორინგი, როდესაც გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტექსტები, ავლენს მოსწავლის წაკითხულის გააზრების დონესა და სხვა საგანმანათლებლო საჭიროებებს. დიფერენციაციის მიღწევა შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობის პირდაპირი სწავლებით, კითხვის სტრატეგიების გამოყენებითა და ტექსტის სტრუქტურით.

კითხვის ეფექტური სტრატეგიები

- ვარაუდების გამოთქმა და კითხვის მიზნების დასახვა;
- კითხვების დასმა;
- ტექსტის შინაარსის ვიზუალიზაცია;
- ტექსტის სტრუქტურის ამოცნობა;

- დაკავშირება;
- შეჯამება;
- დაკვირვება და წაკითხულის გააზრების გარკვევა.

საკლასო დავალება

ნაიკითხეთ PIRLS-ის მოთხრობა „ყვავილები სახურავზე“. დაასახელეთ ორი გზა, რომლებითაც ბებია გუნმა თავის ახალ ბინაში თავი ისე იგრძნო, როგორც მშობლიურ სახლში.

გაასწორეთ, თუ ...

პასუხი უნდა მოიცავდეს ბებია გუნის ნებისმიერ ორ მოქმედებას შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ცხოველებთან დაკავშირებული მოქმედებები;
- სახურავთან დაკავშირებული მოქმედებები.

რის შესახებ არის მოთხრობა?

„ყვავილები სახურავზე“ მოგვითხრობს ხანშიშესული ქალის (ბებია გუნის) შესახებ, რომელიც როგორღაც იძულებული გახდა თავისი ფერმიდან ქალაქში გადასულიყო საცხოვრებლად. მას ენატრება ფერმა და ცდილობს ქალაქის ბინა ისე მოაწყოს, რომ იგი ფერმის სახლს რაც შეიძლება მეტად დაამსგავსოს, მაგალითად, ჰყავდეს ქათმები, ხოლო სახურავზე ყვავილები და ბალახი გაზარდოს. მოთხრობელად გვევლინება ბიჭი, რომელიც მის მოპირდაპირედ ცხოვრობს. იგი აღწერს, თუ როგორ ცდილობს ბებია გუნი, რომ ახალ ბინაში თავი ისე იგრძნოს, როგორც სახლში.

რა უნდა იცოდეს ან გააკეთოს მოსწავლემ ამ დავალებაში?

მოსწავლემ მოთხრობის დასაწყისიდანვე უნდა გაიაზროს, რომ ბებია გუნს ენატრება თავისი ძველი სახლი. მას ენატრება ძველი ფერმა ბალახითა და ყვავილებით სახურავზე, თავისი შინაური ცხოველები. მოთხრობის დასასრულს მოსწავლე იგებს, რომ ბებია გუნი თავს უფრო ბედნიერად გრძნობს. მან ეს ცოდნა უნდა დააკავშიროს ტექსტის იმ ნაწილებთან, რომლებიც აღწერს, თუ როგორ ჩამოიყვანა თავისი ქათმები ფერმიდან და როგორ დაფარა სახურავი ბალახით. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ეს ბებია გუნმა გააკეთა იმიტომ, რომ ახალი ბინა ძველ სახლს დამსგავსებოდა. შესაბამისად, ამ გზით მას ძველი სახლი აღარ ენატრებოდა და ბებია გუნის პრობლემაც გადაიჭრა.

იმ მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც სრული ქულა (საერთაშორისო საშუალო) მიიღეს:

63%

იმ მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ნახევარი ქულა (საერთაშორისო საშუალო) მიიღეს:

82%

ნახევარი ქულა - პასუხი გვიჩვენებს ბებია გუნის ქმედებების მხოლოდ ნაწილობრივ გააზრებას და ორი ქმედებიდან მხოლოდ ერთს მოიცავს.



საკლასო რჩევები



პირდაპირი სწავლების სტრატეგია: დაკავშირება

ხმამალა შეაჯამეთ და მოყვით მოთხრობა. დაუსვით კითხვა თქვენს თავს, „რა მოხდა თავდაპირველად? რა მოხდა შემდეგ? რატომ გააკეთა ბებია გუნიმ ეს?“ ეს მოვლენები კი სწორი თანმიმდევრობით ჩამოწერეთ.

პირდაპირი სწავლების სტრატეგია: შეჯამება

ხაზი გაუსვით ურთიერთკავშირს ტექსტში მოყვანილ პრობლემებსა (როგორ ენატრება ბებია გუნის თავისი მშობლიური სახლი) და მათი გადაჭრის სხვადასხვა გზას შორის, მაგალითად: შექმენით სქემა საკვანძო სიტყვებითა და პატარა ნახატებით. შემდეგი საფეხურია ის, რომ მოსწავლეებს ასწავლოთ დასვან ისეთი კითხვები, რომლებსაც შემდეგ თავადად უპასუხებენ და ამ გზით შეაჯამებენ ტექსტს.




სიღრმისეული ინტერაქციის აქტივობა

მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ, წყვილებად ან მცირე ჯგუფებად მუშაობა, სადაც რიგრიგობით შეაჯამებენ მოთხრობის ცალკეულ მონაკვეთებს. როდესაც ერთი მოსწავლე შეაჯამებს მოთხრობის პირველ ნაწილს, დანარჩენ მოსწავლეებს შეუძლიათ შემდეგი ნაწილის შეჯამება. საკუთარ კითხვებზე პასუხის გაცემით კი ისინი უკეთ განსაზღვრავენ, როგორ შეიძლება მოთხრობის უფრო ზუსტად შეჯამება.

მონიტორინგი და დიფერენცირება

იმუშავეთ მოსწავლეთა იმ ჯგუფთან, რომელსაც გაუჭირდა ტექსტის შეჯამება, მიეცით მათ შესაძლებლობა, დასვან მეტი შეკითხვა ტექსტის გარშემო, მაგრამ თვალყური ადევნეთ კითხვების სწორად ჩამოყალიბების პროცესს იმ მოსწავლეთთან, რომელთაც უფრო უჭირთ ამ აქტივობაზე მუშაობა.



ტექსტთან სიღრმისეული ინტერაქცია

უკეთ რომ განმარტოთ, რას ნიშნავს „სახლის მონატრება“, შეგიძლიათ, ისაუბროთ ამ თემის გარშემო და ბებია გუნის განცდა დაუკავშიროთ მოსწავლეების გამოცდილებას. ოდესმე უგრძნიათ, რომ სახლში დაბრუნება უნდოდათ? როგორ გრძნობდნენ ამ დროს თავს?

პირდაპირი სწავლების სტრატეგია: ვიზუალიზაცია

იმისათვის, რომ მოსწავლეებს დაეხმაროთ უკეთ ჩაწვდნენ მოთხრობის შინაარსს, შეეცადეთ რამდენიმე მოსწავლესთან ერთად გაითამაშოთ მოთხრობის ცალკეული მონაკვეთები. დასვით კითხვები ბებია გუნის განცდების შესახებ, როგორ იცვლება მისი განცდები მოთხრობის მსვლელობისას.

კითხვის სწავლების ინტეგრირება სხვა საგნებთან

ბებია გუნის ამბავი შეიძლება გამოიყენოთ, როგორც ამოსავალი წერტილი, რათა გაიგოთ მეტი იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის. წაახალისეთ მოსწავლეები, რომ გამოთქვან ვარაუდები, კიდევ რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა ბებია გუნის, რათა უფრო მიემსგავსებინა ახალი ბინა იმ სახლთან, რომელშიც აქამდე ცხოვრობდა. დაანერინეთ მოსწავლეებს ერთი ან ორი აზრაც, სადაც ისინი მოიყვანენ ბებია გუნის პრობლემის გადაწყვეტის მეტ გზას.



ყოველდღიურობასთან დაკავშირებული ტექსტების კითხვა

ხანგრძლივად იმუშავეთ თემაზე „მშობლიური სახლის მონატრება“ და წაიკითხეთ სხვადასხვა ტექსტი ამ საკითხის ირგვლივ. მოსწავლეებს შეუძლიათ, შეადარონ ტექსტებში ნახსენები განცდები და მათთან გამკლავების გზები.



დაპატავითი ინფორმაცია

PIRLS –ი (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა) არის მეოთხეკლასელი მოსწავლეების საერთაშორისო შეფასება, რომელშიც წიგნიერების შესახებ მონაცემები გროვდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ დაახლოებით 60 ქვეყანაში. მოსწავლეები წერენ ტესტს, რომელიც შედგება სხვადასხვა ტიპის ტექსტებისაგან და თითოეულს ახლავს შესაბამისი ღია და არჩევითბოლოიანი კითხვები. დამატებით მოსწავლე ავსებს კითხვარს, სადაც ის ინფორმაციას გვაწვდის მისი კითხვის ჩვეებისა და კითხვისადმი დამოკიდებულების შესახებ. მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები ასევე ავსებენ კითხვარს, საიდანაც გროვდება მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული მონაცემები. PIRLS-ის კვლევა, რომელსაც კოორდინაციას უწევდა IEA (საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია), ჩატარდა 2001, 2006, 2011 და 2016 წლებში.

ეს ბროშურა არის Expertisecentrum Netherlands-ისა და IEA-ს ერთობლივი მუშაობის შედეგი. ის მომზადებულია Research for Educators-ის სერიის „PIRLS-ის შედეგების ინტეგრირება საკლასო ცხოვრებაში მსოფლიოს მასშტაბით. ნაკითხულის გააზრების სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები მრავალენოვან გარემოში“ მიხედვით, რომლის ავტორებიც არიან მარიან ბრუგინკი, ანელის ვან დერ ლი და ელიან სიგერსი.

შინაარსი: **Marian Bruggink** (Expertisecentrum Nederlands),
Annelies van der Lee (Expertisecentrum Nederlands)
დიზაინი: **Jasmin Schiffer** (IEA)
თარგმნა და ხელშეწყობა: **Dutch Center for Language Education**

ეს არის IEA-ს მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ვერსიის დაპატავა, რომელიც მოამზადა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა. იგი არ არის შემონეშებული IEA-ს მიერ, შესაბამისად, IEA და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი არ აგებენ პასუხს ორიგინალ და ადაპტირებულ ვერსიას შორის არსებულ შესაძლო უზუსტობებზე, გამოტოვებულ ადგილებსა და განსხვავებებზე.



გამოყენებული კვლევები

Berardo, S. A. (2006). The use of authentic materials in the teaching of reading. *The reading matrix*, 6(2). <https://readingmatrix.com/articles/berardo/article.pdf>

Bruggink, M., Swart, N., van der Lee, A. & Segers, E. (2022). *Putting PIRLS to use in classrooms across the globe*. IEA Research for Educators. Springer.

Graham, S., Liu, X., Bartlett, B., Ng, C., Harris, K. R., Aitken, A., Barkel, A., Kavanaugh, K., & Talukdar, J. (2018). Reading for writing: A meta-analysis of the impact of reading interventions on writing. *Review of Educational Research*, 88(2), 243–284. <https://doi.org/10.3102/0034654317746927>

Okkinga, M., Van Steensel, R., Van Gelderen, A., Van Schooten, E., Slegers, P. J. C., & Arends, L. R. (2018). Effectiveness of reading-strategy interventions in whole classrooms: A meta-analysis. *Educational Psychological Review*, 30(4), 1215–1239. <https://doi.org/10.3102/0034654317746927>

Pearson, P., Palincsar, A., Biancarosa, G., & Berman, A. (2020). *Reaping the rewards of the reading for understanding initiative*. National Academy of Education. <https://naeducation.org/reaping-the-rewards-of-reading-for-understanding-initiative/>

Pressley, M. (2006). *Reading instruction that works: The case for balanced teaching*. Guilford Press.

Shanahan, T., Callison, K., Carriere, C., Duke, N. K., Pearson, P. D., Schatschneider, C., & Torgesen, J. (2010). *Improving reading comprehension in kindergarten through 3rd grade: A practice guide (NCEE 2010-4038)*. National Center for Educational Evaluation and Regional Assistance, Institute of Education Sciences, U.S. Department of Education.

Swanson, E., Hairrell, A., Kent, S., Ciullo, S., Wanzek, J. A., & Vaughn, S. (2014). A synthesis and meta-analysis of reading interventions using social studies content for students with learning disabilities. *Journal of Learning Disabilities*, 47(2), 178–195. <https://doi.org/10.1177/0022219412451131>

